

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ანგარიშგებისა და ბიუჯეტის განყოფილებაში სპეციალისტის თანამდებობაზე, ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის მიმართულებით.

ფინანსებისა და ბუღალტრული აღრიცხვის დეპარტამენტის ამოცანებია: სებ–ის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების უზრუნველყოფა; ანგარიშგებების საფუძველზე ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი; სებ–ის სისტემაში საბუღალტრო პოლიტიკის, პროცედურების, ნორმების, წესების შემუშავება და განახლება; ეროვნული ბანკის ბიუჯეტის შედგენა და შესრულების კონტროლი; ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობით წარმოშობილი ვალდებულებების მიხედვით ანგარიშსწორება;

სამუშაოს სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიკურ და მრავალმხრივ სამუშაოს საინტერესო და ძლიერი პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს თავისი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით.

მოვალეობები:

- ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიების შემუშავებაში მონაწილეობა;
- საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემაში (პროგრამული უზრუნველყოფა) მიმდინარე ოპერაციების ბუღალტრულად დამუშავება და პროცესების მიმდინარეობის კონტროლი;
- საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემაში კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემის ფუნქციური და ტექნიკური შესაძლებლობების საფუძვლიანი შესწავლა;
- საერთაშორისო რეზერვების მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის ადმინისტრირება ბუღალტრული აღრიცხვის განხრით;
- საერთაშორისო რეზერვებთან დაკავშირებული ანგარიშგებების ავტომატიზაციის პროცესის დახვეწაზე ზრუნვა

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია ფინანსების დარგში);
- საბუღალტრო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება ფინანსურ სექტორში;
- ფინანსური ინსტრუმენტების საფუძვლების ცოდნა;
- ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) ცოდნა ფინანსურ ინსტრუმენტებთან (ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები) მიმართებაში;
- ტექნიკური უნარ-ჩვევები, პროგრამებთან მუშაობის გამოცდილება (დანერგვა, ცვლილებები, კონფიგურაცია, მხარდაჭერა), ადმინისტრატორის ან საფუძვლიანად მცოდნე მომხმარებლის სტატუსით;
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა;

- კომპიუტერული პროგრამების მაღალ დონეზე ცოდნა (Excel, Word, Power Point, Outlook)

პიროვნული და სხვა უნარ-ჩვევები:

- თვითგანვითარების სურვილი;
- კომუნიკაბელურობა და გუნდური მუშაობის უნარი;
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და კეთილსინდისიერება;
- დაგეგმვისა და სამუშაო დროის ოპტიმალურად განაწილების უნარი;
- მიზანდასახულობა;
- ინიციატივის გამოჩენის უნარი;
- სხარტი აზროვნება, მრავალმხრივი ინფორმაციის ანალიზის და სისტემატიზების უნარი.

თანამდებობრივი სარგო 3,200 – 4,000 ლარი (დარიცხული), კანდიდატის კვალიფიკაციის გათვალისწინებით

კონკურსის ფორმა: კონკურსი ჩატარდება ინტერვიუს სახით. ინტერვიუს შემდგომ, კონკურსი, შესაძლოა, მოიცავდეს წერილობითი დავალების ეტაპს. დაკავშირება მოხდება მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებთან.

დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, 2019 წლის 13 სექტემბრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურის ველში აუცილებლად მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: აღრიცხვის სპეციალისტი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართულებით.